



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030460300450220

№ 04-134/თ

02 / მარტი / 2020 წ.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2019 წლის 1 ნოემბრამდე დაწყებულ კონტროლის შედეგებზე (კონტროლის/შემოწმების აქტები) წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი სათათბირო ორგანოს (კომისიის) შემადგენლობის და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 27¹-27⁴ მუხლების, 51-ე, 52-ე, 53-ე და 61-ე მუხლების, VI, VII და XIII თავების, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ზოგიერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გადანაწილებასთან/განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის № 487 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის № 01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2019 წლის 1 ნოემბრამდე დაწყებულ კონტროლის შედეგებზე (კონტროლის/შემოწმების აქტები) წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. დროებითი ღონისძიების სახით, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოში (შემდგომში-სააგენტო), სათათბირო ორგანოს სახით, შეიქმნას საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2019 წლის 1 ნოემბრამდე დაწყებულ კონტროლის შედეგებზე (კონტროლის/შემოწმების აქტები) წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი კომისია (შემდგომში-კომისია), რომელიც, სააგენტოს მხრიდან, განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

- ა) გიორგი წოწკოლაური - კომისიის თავმჯდომარე, სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;**
- ბ) თამარ მელიქიძე - კომისიის წევრი, სააგენტოს დირექტორის მოადგილე;**
- გ) თინათინ აზალაძე - კომისიის წევრი, სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;**
- დ) ნინო გოგინიაშვილი - კომისიის წევრი, სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის შესრულებული სამუშაოს მართვის სამმართველოს უფროსი;**
- ე) თამარ კალანდარიშვილი - კომისიის წევრი, სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის პირველადი დოკუმენტაციის მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;**
- ვ) ავთანდილ ვასაძე - კომისიის წევრი, სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;**
- ზ) ჯემალ დეკანოიძე - კომისიის წევრი, სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლო საქმეების წარმოების სამმართველოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირი.**

2. სადავო საკითხების სპეციფიკურობის გათვალისწინებით:

ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული კომისიის შემადგენლობაში, წევრების სახით, გათვალისწინებულ იქნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სსიპ-სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენლები;

ბ) კომისია უფლებამოსილია, სადავო საკითხების გადაწყვეტაში დასახმარებლად, კომისიის სხდომებზე მოიწვიოს სპეციალისტები/ექსპერტები ან მიმართოს მათ წერილობითი დასკვნებისათვის.

3. სააგენტოს სახელით, კომისია განიხილავს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2019 წლის 1 ნოემბრამდე დაწყებულ კონტროლის შედეგებზე (კონტროლის/შემოწმების აქტები) წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივრებს და გადაწყვეტილებებს იღებს, კოლეგიურად, სხდომებზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

4. ამ ბრძანების დანართის შესაბამისად, დამტკიცდეს „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2019 წლის 1 ნოემბრამდე დაწყებულ კონტროლის შედეგებზე (კონტროლის/შემოწმების აქტები) წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი კომისიის საქმიანობის წესი“.

5. ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტაში მონაწილეობას ვერ მიიღებს კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასა და გამოცემაში.

6. კომისიამ საქმიანობა დაასრულოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2019 წლის 1 ნოემბრამდე დაწყებული კონტროლის შედეგებზე (კონტროლის/შემოწმების აქტები) წარმოდგენილი ყველა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის შემდეგ, თუ სააგენტოს დირექტორის ბრძანებით სხვა რამ არ იქნა გათვალისწინებული.

7. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) და დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყონ ამ ბრძანების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისათვის ხელმისაწვდომობა და სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსების გზით საჯაროობა.

8. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ პირობების შესრულების კონტროლის შედეგებზე მიმწოდებლების მხრიდან წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი სათათბირო ორგანოს შექმნისა და მისი საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 4 ივნისის № 04-156/ო ბრძანება.

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

10. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსებიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



გიორგი ნონკოლაური

**საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2019 წლის 1
ნოემბრამდე დაწყებულ კონტროლის შედეგებზე (კონტროლის/შემოწმების აქტები)
წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი სათათბირო ორგანოს
(კომისიის) საქმიანობის წესი**

მუხლი 1. წესის შემუშავების საფუძველი და მიზანი

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2019 წლის 1 ნოემბრამდე დაწყებულ კონტროლის შედეგებზე (კონტროლის/შემოწმების აქტები) წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი სათათბირო ორგანოს (კომისიის) საქმიანობის წესი“ (შემდგომში-წესი) შემუშავებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ზოგიერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გადანაწილებასთან/განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის №487 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის №01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების (შემდგომში-სააგენტოს დებულება) საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. წესი მიზნად ისახავს, განსაზღვროს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2019 წლის 1 ნოემბრამდე დაწყებული კონტროლის შედეგებზე (კონტროლის/შემოწმების აქტები) წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების ერთობლივი განხილვისა და გადაწყვეტის ღონისძიებები, ამისათვის სააგენტოში სათათბირო ორგანოს სახით სპეციალურად შექმნილი კომისიის (შემდგომში- კომისია), როგორც კოლეგიური ორგანოს მეშვეობით.

მუხლი 2. კომისია და მისი უფლებამოსილება

1. კომისიის სხდომები დახურულია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე, 32-ე და 34-ე მუხლების გათვალისწინებით, რამდენადაც კომისიის მიერ განსახილველი საკითხები, ყველა შემთხვევაში, მოიცავენ კანონით დადგენილ კონფიდენციალურ ინფორმაციას, მათ შორის, პროგრამის მოსარგებლეების (პაციენტები) მონაცემებს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

2. შესაძლებელია საჯაროობას (სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება) დაექვემდებაროს ინფორმაცია მხოლოდ სხდომის ჩატარების თაობაზე (ადმინისტრაციული საჩივრის რეკვიზიტები: საჩივრის წარმდგენი, საჩივრის რეგისტრაციის თარიღი და ნომერი)

და განხილვის ზოგადი შედეგების (გადაწყვეტილების სახე: დაკმაყოფილდა, არ დაკმაყოფილდა, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ) შესახებ.

3. კომისიაზე სადავო საკითხები/საჩივრები განიხილება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6, მე-7 და მე-13 თავების მოთხოვნათა დაცვით.

4. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 5 წევრისა.

5. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში მონაწილე წევრების უმრავლესობა.

6. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება, თუ იგი მონაწილეობდა სადავოდ ქვეული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაში.

7. კომისიის წევრი უფლებამოსილია, საკუთარი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს კომისიას, რომელიც თან დაერთვება კომისიის სხდომის ოქმს.

8. კომისია ადმინისტრაციულ საჩივარს იხილავს არსებითად, დადგენილი წესით მისი წარმოებაში მიღების შემდეგ.

9. კომისია უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენის გაუმართავად, თუ:

ა) არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს კომისიის წევრების ხელმოწერით;

ბ) ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარე წერილობით დააფიქსირებს თანხმობას საქმის განხილვაზე ზეპირი მოსმენის გაუმართავად.

10. ადმინისტრაციული საჩივარი და მასთან დაკავშირებული მასალები კომისიამ შესაძლოა განიხილოს წინასწარ, მოსამზადებელ სხდომაზე, საჩივრის ზეპირი მოსმენის გამართვამდე.

11. შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, კომისია უფლებამოსილია, საჩივრის ავტორის თანხმობით, შეაჩეროს ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობა ადმინისტრაციულ საჩივარზე.

მუხლი 3. დაინტერესებული პირების მონაწილეობა კომისიის სხდომებში

1. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ წერილობით ეცნობება ყველა იმ პირს, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში და უზრუნველყოფილ იქნება მათი მონაწილეობა კომისიის სხდომებში, საჩივრის განხილვის დროს.

2. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და საჩივრის ზეპირი მოსმენის სხდომის შესახებ წერილობით (მ.შ., ელექტრონული ფოსტით) ეცნობებათ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სსიპ-

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს უფლებამოსილ წარმომადგენლებს.

3. აუცილებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართოს შესაბამისი პროფილის სპეციალისტები/ექსპერტები.

4. ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ან/და ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სხვა პირთა მოსაზრებები, აგრეთვე, საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები კომისიას წარედგინება დამატებით.

5. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეებს შეიძლება მოუსმინონ ერთმანეთის დაუსწრებლად, თუ ეს აუცილებელია პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან/და, თუ სხვაგვარად შეუძლებელია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა.

6. დაინტერესებულ მხარეებს ზეპირი მოსმენის შესახებ ეცნობებათ წინასწარ.

მუხლი 4. კომისიის სხდომის ოქმი

1. კომისიის ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:

- ა) კომისიის დასახელება;
- ბ) სხდომის დრო და ადგილი;
- გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;
- დ) განხილვის საგანი;
- ე) კენჭისყრის შედეგები;
- ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

2. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები, აგრეთვე, კომისიის სხდომის მდივანი.

3. კომისიის სხდომის ოქმს, არსებობის შემთხვევაში, დაერთვება კომისიის წევრ(ებ)ის წერილობით გამოთქმული საწინააღმდეგო მოსაზრებები ადმინისტრაციულ საჩივართან და მისი განხილვის შედეგებთან დაკავშირებით.

4. კომისიის სხდომის ოქმს შეიძლება ხელი მოაწერონ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე დამსწრე სხვა პირებმაც.

მუხლი 5. კომისიის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით

1. კომისიას ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- ა) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;
- გ) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

2. თუ საქმეზე დამატებითი მასალების მოძიება აუცილებელია, ადმინისტრაციულ ორგანოს გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის განხილვის გადადების/შეჩერების შესახებ, რაც ეცნობება მხარეებს.

3. კომისია უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ, ბათილად ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს, აგრეთვე, შეცვალოს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

4. ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის წერილობითი თხოვნით და შესაბამისი დასაბუთებით, კომისია უფლებამოსილია, გონივრული ვადით, შეაჩეროს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა, რაზედაც წერილობით ეცნობება საჩივრის ავტორს და წარმოებაში მონაწილე სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

მუხლი 6. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

1. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი უნდა აკმაყოფილებდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისთვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2. კომისიის მიერ ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის საფუძველზე, კომისიის სახელით, კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.

3. ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გადაეცემა დაინტერესებულ მხარეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორგანიზაციულ/ტექნიკური უზრუნველყოფა

1. სააგენტოში რეგისტრირებული ადმინისტრაციული საჩივარი დასაშვებობის/წარმოებაში მიღების საკითხის განსახილველად, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს გადაეცემა სააგენტოს იურიდიულ დეპარტამენტს.

2. ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობის/წარმოებაში მიღების თაობაზე იურიდიული დეპარტამენტის მიერ წერილობით ეცნობება ადმინისტრაციული საჩივრის ავტორს.

3. ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შემთხვევაში, იურიდიული დეპარტამენტი საჩივარს და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას უგზავნის კომისიის წევრებს.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების გათვალისწინებით, ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შემთხვევაში, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემის მიერ, საკუთარი მოსაზრებები, დასკვნები და მტკიცებულებები, შესაძლოა, მომზადდეს კომისიის სახელზე, იურიდიული დეპარტამენტის დამატებითი მოთხოვნის გარეშე და გაეგზავნოს კომისიის წევრებს.

5. იურიდიული დეპარტამენტი კომისიის თავმჯდომარესთან ან მისი მოვალეობის შემსრულებელთან ათანხმებს ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი სხდომის სავარაუდო თარიღს და შეთანხმების შემდეგ, აცნობებს ადმინისტრაციული საჩივრის ავტორს (წერილობით) და კომისიის წევრებს.

6. იურიდიული დეპარტამენტი კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე, ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს კომისიის ყველა წევრის ვიზირებით.

7. სათანადოდ გაფორმებული გადაწყვეტილება საჩივრის ავტორს ეგზავნება დაზღვეული საფოსტო გზავნილით (ჩაბარების დადასტურებით) ან გადაეცემა პირადად, ხელმოწერით და თარიღის ჩვენებით.

8. კომისიის სხდომების მიმდინარეობას ოქმების სახით ასახავს კომისიის მდივანი, რომელიც შეიძლება იყოს იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომელი.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

1. ამ წესის შესაბამისად, კომისიის მიერ სხვა სადავო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა შესაძლებელია განხორციელდეს სააგენტოს დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

2. წესში ცვლილება ხორციელდება სააგენტოს დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანება) საფუძველზე.

1. კომისია უფლებამოსილია, განიხილოს ადმინისტრაციული საჩივარი, თუ საჩივრის ზეპირი მოსმენის სხდომას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარი მაინც.

2. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში მონაწილე წევრების უმრავლესობა.